ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 55 (18897) შაბათი, 3 მარტი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

ხვალ, 4 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა!

საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო ერთსულოვანი დარაზმულობით ეგებებიან საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებს!

მშრომელთა არჩევნებისწინა კრებები

ხალხი და პარტია ერთიანია

ამომრჩეველთა შეხვედრა კ. უ. ჩერნენკოსთან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. [illegible]

სურათზე: შეხვედრის დროს. ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი კ. უ. ჩერნენკო.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

[illegible]

(დასასრული მე-2 გვ.)

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, გულწრფელი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც აქ გამოვიდა, მოსკოვის კუიბიშევის რაიონის ყველა მშრომელს, რომლებმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეს (ტაში). ამ ნდობას მივიჩნევ ჩვენი პარტიის ლენინური კურსის მხარდაჭერად, მისი ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობის მოწონებად. აღგითქვამთ, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა გავამართლო დიდი პატივი — ვიყო თქვენი დეპუტატი (ხანგრძლივი ტაში).

სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენ მძიმე დანაკლისი განვიცადეთ — გარდაიცვალა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი, პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე. ეს იყო ლენინური ტიპის ხელმძღვანელი. იგი ვერ ურიგდებოდა რუტინასა და შაბლონს, შეეძლო დაეძლია ინერცია, განეწყო ადამიანები სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად, ქვეყნად მშვიდობის დასამკვიდრებლად ერთსულოვანი მუშაობისათვის. მისი ხელმძღვანელობით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დასაბამი მისცეს ქვეყნის ცხოვრების დიდმნიშვნელოვან პოზიტიურ ძვრებს.

კოლექტიურად შემუშავებული დებულებები საზოგადოების განვითარების საკვანძო მიმართულებათა თაობაზე, ყოველივე, რასაც უკანასკნელ ხანს მივაღწიეთ, — ეს საგრძნობი პოლიტიკური კაპიტალია. და ჩვენ ვაუფრთხილდებით და ვამრავლებთ ამ კაპიტალს (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო! მთავრდება არჩევნებისწინა კამპანია. წელს იგი გამოირჩეოდა დიდი აქტიურობით, ამომრჩეველთა კრებების საქმიანი ხასიათით. მან ნათლად ცხადყო პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა (ტაში). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. არსებითად ხომ ეს არის საბჭოთა ხელისუფლების ანგარიში ამომრჩეველთა წინაშე. ეს გახლავთ აგრეთვე ფორმა მასების კონტროლისა იმათი მუშაობისადმი, ვისაც დაავალეს მართონ სოციალისტური სახელმწიფო.

პარტიას ტრადიციად მოსდგამს მუდამ იქონიოს მასებთან გულახდილი, პატიოსანი სჯა-ბაასი. სწორედ ასეთი მიდგომით არის გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, რომელშიც ჩამოყალიბებულია პარტიის საარჩევნო პლატფორმა.

ამომრჩეველთა წინაშე გამოსვლისას ჩემმა ამხანაგებმა — ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს წევრებმა ვრცლად გააშუქეს ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, სამეურნეო გეგმები. ნება მიბოძეთ, მეც გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება ამის თაობაზე.

1.

კარგად მოგეხსენებათ, რაოდენ დიდ ყურადღებას უთმობს პარტია ეკონომიკის საკითხებს. მათ ყველაზე თვალსაჩინო ადგილი ეკავა სკკპ XXVI ყრილობის მუშაობასა და გადაწყვეტილებებში. ეს საკითხები რეალისტურად იქნა განზოგადებული ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმსა და გასული წლის დეკემბრის პლენუმზე. ქვეყნის სამეურნეო განვითარების მთელი რიგი საკვანძო პრობლემების მნიშვნელობა ხაზგასმით აღინიშნა ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე.

რა შეიძლება ითქვას ამ თვალსაზრისით უმაღლესი საბჭოს წინანდელი არჩევნების შემდგომ განვლილ პერიოდზე?

მთლიანად, ეს იყო ნაყოფიერი პერიოდი. ქვეყნის საწარმოო ძალები განმტკიცდა და არსებითად განახლდა. მწყობრში ჩადგა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ათასზე მეტი სამრეწველო საწარმო. მნიშვნელოვანი მოცულობით მიმდინარეობდა მოქმედი ფაბრიკა-ქარხნების რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია. თუმცა, დაუფარავად გეტყვით, ამ დარგში ნაკლები გაკეთდა, ვიდრე უნდა გაკეთებულიყო. განვითარდა სახალხო მეურნეობის სათბობ-ენერგეტიკული ბაზა, აშენდა დაახლოებით 40 ათასი კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური გაზსადენები. მსოფლიო პრაქტიკას ასეთი მასშტაბი და ტემპი არ ახსოვს. ჩვენ შევძელით ბუნებრივი გაზით მუშაობაზე გადაგვეყვანა ბევრი ქარხანა, ქალაქი და სოფელი. იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ოჯახში გაზს ხმარობენ, 30 მილიონით გაიზარდა.

ეს წლები აღინიშნა ბევრი სხვა დარგის მნიშვნელოვანი მიღწევებითაც. მაგალითად, ჩვენში შეიქმნა მილიონ-ნახევარი კილოვატი სიმძლავრის უნიკალური ბირთვული რეაქტორი. არქტიკის ათვისების ისტორიაში ახალი თავი ჩაწერეს ჩვენს ქვეყანაში აშენებულმა მძლავრმა ატომურმა ყინულმჭრელებმა. დაიწყო მიწის წიაღის ზვერვა ულრმესი ჭაბურღილების მეშვეობით. უფრო ფართოდ გამოიყენება ტექნიკური ლაზერები მრეწველობასა და მედიცინაში.

ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. აქ 30 პროცენტით გაიზარდა შრომის ენერგოაღჭურვილობა, თითქმის მესამედით — მინერალური სასუქების მიწოდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. სოფლად შრომისა და სამეურნეო მართვის ორგანიზაციის ახალი ფორმების განვითარებასთან შეხამებით ეს საგრძნობ შედეგებს გვაძლევს.

თავად განსაჯეთ. ამინდმა შარშანაც დაგვალალატა, მაგრამ მარცვლოვანთა მოსავალმა მაინც გადააჭარბა 190 მილიონ ტონას. საგრძნობლად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტიულობაც. ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ძნელ პირობებშიც კი თავისი ნაყოფი გამოაქვს კარგად ორგანიზებულ, შეუპოვარ მუშაობას. ახლა საქმე კონკრეტულად ეხება იმას, რომ დავრაზმოთ ადამიანები, გავამზადოთ მთელი ტექნიკა, უზრუნველვყოთ მინდვრის სამუშაოთა აწყობილი ორგანიზაცია. და აღარ დავახანოთ — საგაზაფხულო თესვა ხომ, როგორც იტყვიან, კარს მოგვადგა. უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე პირუტყვის ზამთრობის წარმატებით დამთავრებისათვის.

განვლილ ხუთწლეულში საერთაშორისო ცხოვრების სირთულეებმა გვაიძულა გვარიანი რესურსები მოგვეხმარებინა ქვეყნის უშიშროების განმტკიცებასთან დაკავშირებული საჭიროებებისათვის. მაგრამ ამ პირობებშიც კი სოციალური პროგრამების შეკვეცა აზრადაც არ მოგვსვლია. მთელი ჩვენი მუშაობის საბოლოო მიზანი ხომ საბჭოთა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაა (ხანგრძლივი ტაში). და ჩვენ ამ საქმეს ფართოდ ვუდგებით. ჩვენ გვინდა, რომ ადამიანები არა მარტო უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილი მატერიალურად, არამედ იყვნენ აგრეთვე ფიზიკურად ჯანმრთელნი, სულიერად განვითარებულნი, საზოგადოებრივი თვალსაზრისით აქტიურნი.

ეროვნული შემოსავლის ოთხი მეხუთედი მოხმარდა განვლილ პერიოდში ხალხის კეთილდღეობას. გაიზარდა ადამიანთა რეალური შემოსავალი, უფრო უხვი გახდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიც. არადა, ეს ის წყაროა, საიდანაც ვიღებთ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, პენსიების გაცემის, საბინაო ფონდის მოვლა-შენახვის სახსრებს.

ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას ხმარდება ჩვენი სასურსათო პროგრამაც, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სისტემის განვითარების პროგრამაც, რომლის შემუშავება მიმდინარეობს. დღეს ბევრი რამ კეთდება საიმისოდ, რომ გავაფართოოთ ხარისხოვანი, მოსაწონი საქონლის გამოშვება. დაიწყო მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა მოდერნიზაცია. ამ საქმეში ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან.

პარტიის საყოველდღეო საზრუნავს შეადგენს ისეთი საარსებო მნიშვნელობის პრობლემებიც, როგორიც არის საცხოვრებელი ბინების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობა, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ქსელის გაფართოება. გასულ წელს აშენდა ორ მილიონზე მეტი ბინა, რაც სჭარბობს უკანასკნელი ოცი წლიდან ნებისმიერი წლიწადის მაჩვენებელს. მიმდინარე ხუთწლედში საცხოვრებელი სახლების ამოქმედების დავალება ძალზე დიდია. მაგრამ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ იგი შესრულდება. და, შესაძლოა, გადაჭარბებით შესრულდეს.

რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას გვესმის, რომ ბინის პრობლემა ჯერ არ გადაჭრილა, და ამიტომ კვლავაც განვაგრძობთ საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესების გზების ძიებას. თანაც, არა მარტო სახელმწიფოს სახსრებით. ალბათ, უფრო თამამად უნდა მივმართავდეთ აგრეთვე კოოპერაციული საწყისებისა და ინდივიდუალური მშენებლობის გაფართოებას (ტაში). რაც შეეხება საბავშვო ბაგა-ბაღებს, აქ შევძელით რამდენადმე დაგვეცხრო დაძაბულობა. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალზე ბევრი გვაქვს.

უახლოეს წლებში ვაპირებთ ხელფასი მოვუმატოთ მასწავლებლებსა და სახალხო განათლების სხვა მუშაკებს. კვლავაც გამოვიჩენთ ზრუნვას ომისა და შრომის ვეტერანების, მრავალშვილიანი ოჯახების, ახალდაქორწინებულების, საერთოდ, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

როგორც ჩანს, ღირს განსაკუთრებით შევეხოთ 1983 წელს. 1982 წლის ნოემბერში, როგორც იცით, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შეიმუშავა ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებმაც ჩვენს ეკონომიკას მეტი დინამიზმი მიანიჭა. ჩვენ შევუდექით ხუთწლედის იმ პირველი ორი წლის არასახარბიელო ტენდენციის დაძლევას, როცა შენელდა ეკონომიკური ზრდის ტემპი. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ უფრო სწრაფად იწყო ზრდა შრომის ნაყოფიერებამ, გაუმჯობესდა თვისებრივი მაჩვენებლები ეკონომიკის ბევრ რგოლში.

ავიღოთ, თუნდაც, თქვენი რაიონი. სამრეწველო წარმოების მთელი მატება ხომ მომუშავეთა რიცხვის გაუდიდებლად არის მიღებული. თქვენ აქტიურად ჩაებით მოძრაობაში, რომელიც ახლა გაჩაღდა შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ნება მიბოძეთ, პირადი შრომითი წარმატებანი მივულოცო ფეიქარს მარიამ დიმიტრის ასულ პოლეშჩუკს (ტაში), ხარატს ალექსანდრე მიხეილის ძე გორბუნოვს (ტაში), მინამბერს ნინო სერგის ასულ იზმაილოვას (ტაში), ამწყობ ზეინკალს ალექსანდრე ნიკოლოზის ძე სეროვს (ტაში), კუიბიშევის რაიონის ყველა მოწინავეს (ხანგრძლივი ტაში).

დღეს ვიქტორ ვასილის ძე გრიშინმა მაცნობა, რომ მოსკოვის მშრომელებმა მთლიანად და ერთგვარი გადაჭარბებითაც კი შეასრულეს ორი თვის გეგმა. ეს დიდი მიღწევაა (ტაში). ნება მიბოძეთ ამ ტრიბუნიდან მივესალმო და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო ყველა მოსკოველს, დიდი მადლობა ვუძღვნა სასიქადულო შრომისათვის! (ხანგრძლივი ტაში).

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, მიღწეული მხოლოდ დასაწყისია დიდი მუშაობისა. საქმე, თანაც გადაუდებელი, ძალზე ბევრი გვაქვს. ჩვენ შეგვიძლია და გვწადია უფრო

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

(გაგრძელება)

სწრაფად განვაგრძოთ წინსვლა. ჩვენ ძალგვიძს და მოვალენი ვართ უფრო ენერგიულად ვწყვეტდეთ ეკონომიკის ინტენსიური განვითარების პრობლემებს. მხოლოდ ამ საფუძველზე შევძლებთ სულ უფრო სრულად ვაკმაყოფილებდეთ ხალხის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს.

ერთი სიტყვით, როცა სამერმისო გეგმებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა გვავიწყდებოდეს ერთი უბრალო ჭეშმარიტება: უკეთ რომ იცხოვრო, უკეთ უნდა იმუშაო. (ხანგრძლივი ტაში). წარმატებით რომ ვიაროთ ჩვენი სოციალური პროგრამების განხორციელების გზით, საჭიროა ეკონომიკის და, უწინარეს ყოვლისა, მისი ეფექტიანობის სტაბილური, დინამიკური ზრდა. სწორედ ამაზე გვქონდა სჯა-ბაასი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმებზე.

ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას ჩვენ ჯერჯერობით მივაღწიეთ ძირითადად იმ რეზერვების ხარჯზე, რომლებიც, როგორც იტყვიან, ხელთ გვქონდა, საძებარი არ გაგვიხდა. ჩვენ ხელი მოვკიდეთ წესრიგის, ორგანიზებულობის, დისციპლინის განმტკიცებას. და ამან მყისვე მოგვიტანა საგრძნობი ეკონომიკური ეფექტი.

საჭიროა განვაგრძოთ წინსვლა — ვილვაწოთ სახალხო მეურნეობის ღრმა თვისებრივი ცვლილებებისათვის.

ეკონომიკაში ჯერ კიდევ მრავლად გვაქვს ისეთი უბანი, სადაც ჩამორჩენა პირდაპირ თვალში საცემია. ყველგან როდი იყენებენ სრულად არსებულ საწარმოო პოტენციალს. შეუწყნარებლად სუსტია მანქანათმშენებლობის საცდელ-ექსპერიმენტული ბაზა. ნელა კლებულობს მძიმე ფიზიკური და არაკვალიფიციური შრომის წილი სამრეწველო წარმოებასა და მშენებლობაში.

ჩვენთვის აბსოლუტურად აუცილებელია უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი და უწყვეტი განახლება მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა საფუძველზე. ეს ჩვენი ერთ-ერთი ძირეული ამოცანაა. უამისოდ ხომ პირდაპირ წარმოუდგენელია საზოგადოების პროგრესი.

პარტია მთელი სიმწვავით აყენებს იმ საკითხსაც, რომ ფართო ფრონტით გავაჩაღოთ ეკონომიკის მართვის სრულყოფა, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა. ამ მუშაობის ძირითადი მიმართულებანი განსაზღვრულია. ისინი სავსებით შეესაბამება დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინურ პრინციპს.

ჩვენ უდავოდ გვმართებს განვამტკიცოთ ცენტრალიზებული მართვა და დაგეგმვა, მივაღწიოთ მათს მეტ ქმედითობასა და მოქნილობას. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ საერთო-სახელმწიფო სამეურნეო ორგანოები მთელ თავიანთ ძალებს წარმართავდნენ ქვეყნისათვის ნამდვილად საკვანძო მნიშვნელობის ამოცანების გადასაწყვეტად, ხოლო მათი ამჟამინდელი საზრუნავის რაღაც ნაწილი სავსებით შეუძლიათ იკისრონ ქვემდგომმა ორგანიზაციებმა, იქნება ეს დარგობრივი თუ ადგილობრივი.

ჩვენ ალვკვეთდით და კვლავაც ალვკვეთთ როგორც ვიწროუწყებრივი, ისე კუთხური მოსაზრებებით ნაკარნახევ ყოველგვარ მოქმედებას. მაგრამ, ამხანაგებო, — რა დასამალია, და, — ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა კუთხურობასთან ბრძოლის საბაბით არსებითად ბოჭავენ ადგილობრივ ინიციატივას. ეს არაფრად არ ვარგა. სამეურნეო ინიციატივის, შემოქმედების განვითარება ეკონომიკური რეგიონების, გაერთიანებების, საწარმოების დონეზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და სწორედ რომ საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანაა.

- ეს, თუ გნებავთ, არის ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის — პარტიის ლენინური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძვლის შემდგომი განმტკიცების საკითხიც. საჭიროა იზრდებოდეს ყოველი რესპუბლიკის შესაძლებლობანი, რათა მან ეფექტიანი წვლილი შეჰქონდეს საბჭოთა კავშირის ეკონომიკის, როგორც ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში. რა თქმა უნდა, აქ უზენაესად უნდა მივიჩნიოთ საერთო-სახალხო ინტერესები. ეს უშუალოდ გამომდინარეობს ჩვენი საზოგადოების ინტერნაციონალისტური ბუნებიდან, ჩვენი მსოფლმხედველობიდან. (ტაში).

მეურნეობრიობის ფორმები, ამხანაგებო, უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს. ამას უდავოდ შეუწყობს ხელს მთელი რიგი ეკონომიკური ექსპერიმენტები, რომლებიც ახლა ხორციელდება. მათი არსი ის გახლავთ, რომ მეტი უფლებები მივანიჭოთ საწარმოებს, ავამაღლოთ მათი პასუხისმგებლობა, გავათავისუფლოთ ცენტრის მეტისმეტი მეურვეობისაგან. ცდით შემოწმება შესაძლებლობას მოგვცემს ძიების ეტაპიდან გადავიდეთ მტკიცე წინსვლის ეტაპზე. მაგრამ რა თქმა უნდა, ამხანაგებო, სიახლის ძიება და დანერგვა მარტოოდენ იმ საწარმოებში როდი უნდა წარმოებდეს, რომლებიც ჩაბმული არიან ამა თუ იმ ექსპერიმენტში.

მაგალითად, ყველასათვის ცხადია, რომ ფართო გზა უნდა მივცეთ სამეურნეო ანგარიშის საწყისების საყოველთაო დანერგვას. ამასთან უნდა აღმოვფხვრათ ყოველივე, რაც ხელს უშლის ამას.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ ყველგან და ყოველთვის ხორციელდებოდეს შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპი. ვინც ძალების სრული უკუგებით შრომობს, იმას უსათუოდ უნდა ჰქონდეს უპირატესობა ხელფასში. (ტაში). შეიძლება გვითხრან: კი მაგრამ, ჩვენ ხომ ახლაც ვსჯით ხოლმე უნიათო მუშაკებს მატერიალური თვალსაზრისით, ხოლო კეთილსინდისიერებს პრემიებს ვაძლევთ. ეს კი ასეა, მაგრამ ეტყობა დასჯაში დღემდე ჯერ კიდევ გვაკლია სიმკაცრე, ხოლო მატერიალურ წახალისებაში — ჯეროვანი სამართლიანობა, ზოგჯერ თუ გნებავთ გულუხვობაც, ამ საკითხებს საფუძვლიანად უნდა მოვკიდოთ ხელი — და ასევე დაუყოვნებლივ, ამთავითვე. (ტაში).

საჭიროა გადაჭრით დავძლიოთ ყოველგვარი კონსერვატიზმი და უძრაობა. ერთი სიტყვით, ეკონომიკის სფეროში დღის ლოზუნგი უნდა გახდეს; სწორი აზრიდან, გამოცდილებით ყოველმხრივ შეიარაღებულნი, გადავიდეთ გაბედულ მოქმედებაზე! (ტაში).

2.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, ჩვენში დიდი მუშაობა წარმოებს სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. ცხადია, ეს იოლი სამუშაო არ არის. და აი, გახურებული მუშაობის დროს, შარშან ივნისში, შეიკრიბა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რათა განეხილა პარტიის იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობის საკითხები. რატომ? რა კავშირია აქ ჩვენს ეკონომიკურ საზრუნავთან? — უშუალო, განუყრელი კავშირი.

საქმე ის არის, რომ საზოგადოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის წარმატება წინათ არასდროს არ ყოფილა ისე უშუალოდ დამოკიდებული იდეოლოგიური, ორგანიზატორული და სამეურნეო მუშაობის ერთიანობის ლენინური პრინციპის თანამიმდევრულ დაცვაზე, როგორც ახლა.

ვაშენოთ და სრულვყოთ სოციალიზმი — ეს ნიშნავს არა მარტო ავაგოთ თანამედროვე ქარხნები და ელექტროსადგურები, დავამშვენოთ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქალაქები და სოფლები. ეს კომუნისტების უთუო, მაგრამ არა ერთადერთი საზრუნავია. ადამიანის ცხოვრების პირობებს რომ გარდავქმნით, ამავე დროს ყველაფერი უნდა ვიღონოთ მისი იდეურ-ზნეობრივი ამაღლებისათვის, ცხადია, ადამიანთა სულიერი განვითარების, მათი სოციალისტური აღზრდისათვის დიდი მუშაობის გაუწევლად ჩვენ თავს ვერ გავართმევთ მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფის ამოცანებს.

ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა აზრი სწორედ ის არის, რომ ავამოძრაოთ მასების შეგნებასა და იდეურ რწმენაში მოქცეული მთელი შემოქმედებითი ძალები. ეს ხომ მათი შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის საფუძველია.

მე ვთქვი, რომ საჭიროა სერიოზულად გარდავქმნათ ეკონომიკის მართვის სისტემა, მაგრამ, ცხადია, ამ სისტემის გაუმჯობესება სრულიადაც არ ამოიწურება, ასე ვთქვათ, თანამდებობრივად მმართველების საქმიანობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრით. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე მხარეც: საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ სრული ძალითა და ნაყოფიერებით გამოვლინდეს უფართოესი მშრომელი მასების ინიციატივა და შემოქმედება.

მე მითხრეს, რომ თქვენი რაიონის მთელ რიგ საწარმოებში ზოგიერთი საწარმოო ოპერაციის შესრულება სამრეწველო რობოტებს აქვს დაკისრებული. დროთა განმავლობაში რობოტები, რა თქმა უნდა, მეტი გვექნება. მაგრამ, მერწმუნეთ, არც მაშინ გაუფასურდება იმის მნიშვნელობა, რასაც ჩვენ სამეურნეო პროგრესის ადამიანისმიერ ფაქტორს ვუწოდებთ. ანუ, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ადამიანთა ცოდნის, ინტერესების, განწყობილების მნიშვნელობა. (ტაში). ბოლოს და ბოლოს ხომ ყოველი საქმის დამწყებიც და დამგვირგვინებელიც ადამიანია. ამ ძველ ჭეშმარიტებას ვერასდროს ვერ გააბათილებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. (ტაში).

საბჭოთა ადამიანი წარმოებაში მუდამ უნდა იყოს სრულუფლებიანი და პასუხისმგებელი ბატონ-პატრონი. სწორედ ამას ემსახურება შარშან მიღებული შრომითი კოლექტივების კანონი. იგი მიზნად ისახავს მშრომელთა სწორედ რომ სამეურნეო ინიციატივის შემდგომ გაფართოებას.

ყოველი კოლექტივის ცხოვრებაში უდიდესი აღმზრდელობითი ძალა აქვს მორალურ სტიმულებს. ჩვენში შრომა ადამიანის საზოგადოებრივი აღიარების, მისი სოციალური პრესტიჟის საფუძველია. ხალხის სამართლიან გულისწყრომას იწვევენ უქნარები, ფრენიები და ლოთები, რომლებიც ცდილობენ მუშა კაცის საპატიო წოდებას ამოფარონ თავიანთი სიზარმაცე და უნიათობა, თანაც საზოგადოებრივ პატივისცემას მოითხოვენ საკუთარი თავისადმი. აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ჩამოაყალიბოს და დაამკვიდროს საზოგადოებაში შრომისადმი პატივისმცემლური დამოკიდებულების ატმოსფერო და ამავე დროს ყოველგვარი უსაქმურობის, კალაპოტიდან ამოვარდნის, უპასუხისმგებლობისადმი შეუწყნარებლობის, ზიზღის ატმოსფერო. (ხანგრძლივი ტაში).

საგანგებოდ მინდა ვთქვა ერთი რამ. როგორც იცით, პარტიამ და სახელმწიფომ გააძლიერეს ბრძოლა ისეთი სამარცხვინო მოვლენების წინააღმდეგ, როგორიც არის სახელმწიფო სახსრების დაჩიავება, თვალის ახვევა და სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება, მფლანგველობა და მექრთამეობა. ეს არ არის დროებითი კამპანია. ეს არის გეზი, რომელიც ნიადაგ და განუხრელად განხორციელდება. აქ არავის ვპატიობდით და არც ვაპატიებთ. თავს - ნურავინ მოიტყუებს. (ტაში). ამიტომ საჭიროა ხელმძღვანელთა კიდევ უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა, პარტიული ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების, ყველა საბჭოთა ადამიანის მუდმივი ყურადღება ამ საკითხებისადმი, სახალხო კონტროლის, მართლწესრიგისა და მართლმსაჯულების ორგანოების ეფექტიანი მუშაობა.

ამხანაგებო! ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაში ახლა, ალბათ არ მოიძებნება კუთხე, სადაც საბჭოთა სკოლის პრობლემებსა და პერსპექტივებს არ განიხილავდნენ. სკოლის რეფორმის საკითხი არავის ტოვებს გულგრილს. იგი ეხება უკლებლივ ყველას, როგორც იტყვიან, ყველას, დიდიან-პატარიანად. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ წყვეტს საბჭოთა ხელისუფლება საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებს, მაგალითია ჭეშმარიტი დემოკრატიისა. (ტაში). თქვენ, რა თქმა უნდა, იცნობთ ამ რეფორმის ძირითად მიმართულებებს. მინდა აქ მოგახსენოთ მხოლოდ ერთის — შრომითი აღზრდის შესახებ.

შრომა არასოდეს არ იქნება თავშესაქცევი, გასართობი, იგი კომუნიზმის დროსაც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, დარჩება „ჯოჯოხეთურად სერიოზულ საქმედ". შრომა ძნელია. აქ ვერაფერს ვერ გააწყობ. მშობლებს კი ზოგჯერ ცთუნება სძლევთ სიძნელეებისაგან გაათავისუფლონ ბავშვები. არადა, მხოლოდ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ანიჭებს მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებას! ამიტომ ბავშვებს უნდა ვასწავლოთ არა ის, რაც ადვილია, — ისინი ამას თვითონვე გაართმევენ თავს, არამედ ის, რაც ძნელია. ჩავუნერგოთ მოსწავლეებს მუშაობისადმი სიყვარული, სრულად გამოვიყენოთ აღმზრდელობით პროცესში ნაყოფიერი შრომის ძალა — სწორედ ეს არის აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. (ხანგრძლივი ტაში).

როგორც გესმით, საქმე სრულიადაც არ ეხება იმას, რომ დავაკნინოთ ზოგადი კულტურის ცოდნის მნიშვნელობა, დავაწესოთ ერთგვარი შრომითი ბეგარა. ასეთ უბადრუკ იდეებთან, რომლებსაც მტრული რადიოხმები ავრცელებენ, სკოლის რეფორმას, რა თქმა უნდა, საერთო არაფერი აქვს. საქმე სხვა რამეს ეხება: არ შეიძლება ახალი სამყაროს შეგნებული მშენებელი იყოს ადამიანი, რომელიც მიჩვეული არ არის შრომას.

ჩვენ ნიადაგ ვზრუნავთ იმისათვის, რომ მოვამზადოთ ისეთი ახალგაზრდობა, რომელსაც ვერ შეაშინებს, ქედს ვერ მოახრევინებს ქვეყნის ბედისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობის ბედისათვის ისტორიული პასუხისმგებლობის ტვირთის სიმძიმე, ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც შეძლებს არა მარტო აითვისოს უფროსი თაობების გამოცდილება, არამედ გაამდიდროს კიდეც იგი საკუთარი წარმატებებით. (ხანგრძლივი ტაში). ეს სკოლისა და ოჯახის საქმეა, მაგრამ არა მარტო მათი. ეს არის კომკავშირისა და პროფკავშირების, შრომითი კოლექტივების საქმე.

ეს პარტიის დიდი ამოცანაა. საბოლოო ანგარიშით — ეს არის ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მომავლის საიმედო უზრუნველყოფის საკითხი. ჩვენ ვწყვეტთ ამ ამოცანას და ვწყვეტთ წარმატებით! (ხანგრძლივი ტაში).

3.

ამხანაგებო! ჯერ კიდევ მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დაბადების წინ ლენინი წერდა: „სოციალიზმის დროს... მოსახლეობის **მასა ამაღლდება დამოუკიდებელ** მონაწილეობამდე არა მარტო კენჭისყრასა და არჩევნებში, **არამედ ყოველდღიურ მმართველობაშიც**". და დღეს ჩვენი სახალხო ხელისუფლების ორგანოების და უწინარეს ყოვლისა საბჭოების მუშაობის ახალი წარმატებების საფუძველია სულ უფრო ფართოდ ჩავაბათ სახელმწიფო საქმეებში შეგნებული, პოლიტიკურად მომწიფებული შემოქმედებითად მოაზროვნე მოქალაქეები. ეს არის საბჭოების აქტივი, მასში კი ათმილიონობით ადამიანია. იგი ნამდვილად აქტიური უნდა იყოს. ამის შესაძლებლობანი უკანასკნელ წლებში არსებითად გაიზარდა. ამაღლდა ყველა დონის საბჭოების როლი მრავალფეროვანი სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

სავსებით გამართლებულია, რომ ახლა ადგილობრივი საბჭოები უფრო მეტად აკოორდინირებენ მათს ტერიტორიაზე განლაგებული სხვადასხვა დარგის საწარმოთა საქმიანობას. და კარგია, რომ ისინი აძლიერებენ კონტროლს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარებისადმი, გარემოს დაცვისადმი. საერთოდ, საბჭოების საკონტროლო ფუნქციები სულ უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ. აქ უდიდესი სარბიელია მოქმედებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი განვითარებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ინფორმირების გაფართოებას საქმის რეალური ვითარების შესახებ, საჯაროობას პარტიული და საბჭოთა დაწესებულებების მუშაობაში. ამაში დიდია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი. ამ ბოლო დროს მათი მუშაობა რამდენადმე გამოცოცხლდა. მაგრამ ჩვენ გვსურს მათგან მივიღოთ მეტი ღრმაშინაარსიანი და საინტერესო მასალები ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ცხოვრების შესახებ, მოველით მათგან მეტ გაბედულებას მომწიფებული პრობლემების დაყენებაში.

და, რა თქმა უნდა, ყოველთვის საჭიროა გულისხმიერი დამოკიდებულება მშრომელთა წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნებისადმი, შეურიგებლობა კრიტიკის ყოველგვარი ჩახშობისადმი. (ტაში).

ჩვენ, კომუნისტები, ვამაყობთ იმით, რომ პარტიას, როგორც მთელი პოლიტიკური სისტემის ბირთვს, უდიდესი გავლენა აქვს საბჭოებში და ეს მათში პარტიის წევრთა რიცხობრივი სიჭარბით კი არ არის გამოწვეული: საერთოდ უპარტიო დეპუტატები, როგორც ცნობილია, ჩვენ მეტი გვყავს. თავის პოლიტიკურ გავლენას საზოგადოებაში პარტია განამტკიცებს მშრომელი ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის დაუცხრომელი ბრძოლით, იმის უნარით, რომ შეიმუშაოს და განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ჩვენი განვითარების ამა თუ იმ ეტაპის მოთხოვნებს. (ტაში).

პარტია დიდ ყურადღებას უთმობს თანამედროვე პერიოდის თავისებურებათა გააზრებას, სად, ყოველგვარ უტოპიას მოკლებულ ჩვენს მიერ მიღწეული ახალი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სიმწიფის დონის განსაზღვრას. განვსაზღვრავთ რა ამას, გამოვიმუშავებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ზუსტ მეცნიერულ საფუძვლებს. და აქ უდიდეს როლს ასრულებს კონცეფცია განვითარებული სოციალიზმისა, როგორც ისტორიულად ხანგრძლივი ეტაპისა, რომლის დასაწყისშიც იმყოფება ჩვენი ქვეყანა. სწორედ განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის ამოცანების გადაწყვეტის პროცესში ხდება კომუნიზმისაკენ თანდათანობითი წინსვლა.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ პრინციპული პოლიტიკური მნიშვნელობა პარტიის მიერ გამოტანილი ამ დასკვნებისა. ისინი საშუალებას გვაძლევენ უფრო ნათლად დავინახოთ ჩვენი საზოგადოების განვითარების სურათი მთელი მისი სირთულეებით, წინააღმდეგობებითა და მრავალფეროვნებით. ისინი ხელს გვიწყობენ პრაქტიკულად აღმოვფხვრათ ის შეუსაბამობანი, რომლებიც ზოგჯერ გვქონია სიტყვასა და საქმეს შორის, საზოგადოების რეალურ შესაძლებლობებსა და დაუსაბუთებელ პროგნოზებს შორის. სწორედ ამ თვალსაზრისით ახორციელებს დღეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი უაღრესად მნიშვნელოვან მუშაობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის მომზადებისათვის. (ტაში).

პარტია იღვწის, რომ ლენინური სტილი მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით გახდეს თითოეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელის სულიერი მოთხოვნილება, შეუცვლელი სამუშაო ინსტრუმენტი. ხელმძღვანელთა რწმუნებულებანი და უფლებები ჩვენში ფართოა, მაგრამ დიდია პასუხისმგებლობაც. და ხელმძღვანელისათვის იმაზე უარესი არა არის რა, ვიდრე ქედმაღლობა და აპლომბი, ლენინის გამოთქმით „უხეირო სარგებლობა ძალაუფლებით, როგორც მხოლოდ ძალაუფლებით, როცა ადამიანები ამბობენ: მე მივიღე ძალაუფლება, მე ბრძანება გავეცი, და შენ უნდა დამემორჩილო". ხელმძღვანელის ძალაა თანამდებობრივი ავტორიტეტისა და პირადი ავტორიტეტის შეხამების უნარი. (ტაში).

პარტიისა და სახელმწიფოს კადრები მასების სიმპათიასა და პატივისცემას იმსახურებენ უწინარეს ყოვლისა ცოცხალი საზოგადოებრივი საქმით, თავიანთი ენერგიითა და ცოდნით, პირადი მაგალითითა და ქცევით, რომელიც თავისუფალია ყოველივე იმისაგან, რაც შეურაცხყოფს ხალხის ზნეობრივ გრძნობას. (ტაში). ხელმძღვანელს მხოლოდ იმიტომ შეუძლია მომთხოვნი იყოს სხვებისადმი, რომ ყველაზე მეტად მომთხოვნია საკუთარი თავისადმი. სამსახურებრივი უფლების გარდა, ეს მას მორალურ უფლებას აძლევს სიმტკიცე გამოიჩინოს იმ შემთხვევებში, როცა უფრო სწორია, როგორც იტყვიან, „ამაოდ არ დახარჯო სიტყვები იქ, სადაც უნდა გამოიყენო ძალაუფლება". ხელმძღვანელის ავტორიტეტის საფუძველია ხალხის მოწონება და მხარდაჭერა. ხოლო ვინც ამას კარგავს, ვინც ყურად არ იღებს მასების აზრს, იმას არ შეუძლია და არც უნდა ეკავოს ხელმძღვანელი პოსტი. (ტაში).

და კიდევ ერთი საკითხი. ჩვენში მასების თვითმოქმედების, საზოგადოებისა და სახელმწიფო საქმეებში მათი მონაწილეობის საკმაოდ ბევრი ცოცხალი ფორმა გვაქვს. მაგრამ გვაქვს არაბუნებრივი ფორმებიც, რომლებზეც ალბათ ღირს უარი ვთქვათ.

ზოგიერთ რაიონსა და ოლქში გატაცებული არიან, მაგალითად, ნებისმიერი საბაბით, სხვადასხვანაირი შტაბებისა და კომისიების შექმნით. ზოგჯერ ისინი იმდენად ბევრია, რომ თვით ორგანიზატორები ვერ არჩევენ, ვის რა აქვს დავალებული და ვინ რისთვის აგებს პასუხს. (გამოცოცხლება დარბაზში. ტაში). ცალკეული მუშაკები სათავეში უდგანან ლამის თორმეტ სხვადასხვა კომისიას, რაც ზიანს აყენებს მათ პირდაპირ სამსახურებრივ მოვალეობებს. ყოველივე ეს ადამიანებს აცდენს უმაქნისი სხდომებით, იწვევს ძალების დაქსაქსვას, [illegible]რით არ ეხმარება საქმეს. ზოგჯერ ზოგ[illegible]ი ხელმძღვანელი, იმის ნაცვლად, რომ [illegible]უხი აგოს თავისი სამუშაოსათვის, მხოლოდ, როგორც თავის დროზე მოსწრებულად შენიშნავდა ლენინი, „კომისიებს ეფარება".

ჩვენი დემოკრატია არსებითად ქმედითი, მომუშავე დემოკრატიაა. მისი გაფართოება, მთელი საბჭოთა სახელმწიფოებრიობის სრულყოფა ჩვენი საზოგადოების ძლევამოსილი წინსვლის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. და პარტია — ეს არის ამ პროგრესის მოტორი, მამოძრავებელი ძალა. მთელი თავისი შინაგანი ცხოვრებით იგი გვიჩვენებს ნამდვილი სოციალისტური დემოკრატიზმის, ხელშეუვალ უფლებათა და უცილობელ მოვალეობათა ორგანული შეხამების მაგალითს. (ხანგრძლივი ტაში).

4.

ახლა საერთაშორისო საქმეების შესახებ. საბჭოთა ამომრჩევლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე დაბეჯითებული განაწესი იყო, არის და იქნება განაწესი —თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ მშვიდობას, უზრუნველვყოთ ჩვენი სამშობლოს უშიშროება. შემიძლია მოგახსენოთ, რომ პარტია და საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ასრულებდნენ ამ განაწესს, ასრულებდნენ ძნელ პირობებში.

თქვენ, იცით, რომ უკანასკნელი წლები ამერიკის იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული ძალების პოლიტიკის, აშკარა მილიტარიზმის, მსოფლიო ბატონობის პრეტენზიების, პროგრესისადმი წინააღმდეგობის, ხალხთა უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის პოლიტიკის მკვეთრი გააქტიურებით აღინიშნა. ამ პოლიტიკის პრაქტიკული გამოყენების მაგალითი მსოფლიოს ბევრი უნახავს. ეს არის ლიბანში შეჭრა და გრენადის ოკუპაცია, გამოუცხადებელი ომი ნიკარაგუის წინააღმდეგ, მუქარა სირიის მიმართ და, ბოლოს, დასავლეთ ევროპის გადაქცევა სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეებისათვის დამიზნებული ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული რაკეტების სასტარტო მოედნად.

ყოველივე ეს გვაიძულებს ყველაზე სერიოზული ყურადღება დავუთმოთ ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებას. საბჭოთა ადამიანებს სურთ არა შეიარაღების ზრდა, არამედ მისი ორმხრივი შემცირება. მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის, მისი მეგობრებისა და მოკავშირეების საკმარისი უშიშროებისათვის. ამას კიდეც ვშვრებით. დაე, ყველამ იცოდეს, რომ სამხედრო ავანტიურების ვერც ერთი მოყვარული მოუმზადებელს ვერ მოგვისწრებს, არც ერთ პოტენციურ აგრესორს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ თავიდან აიცილებს შემმუსვრელ საპასუხო დარტყმას. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ამავე დროს სწორედ ვითარების სირთულე გვავალებს გავაორკეცოთ, გავასამკეცოთ მეცადინეობა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის განხორციელებაში.

ძნელია დაასახელო მშვიდობის განმტკიცებისათვის ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გამოც საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს ბოლო წლებში არ წამოეყენებინოთ კონკრეტული, რეალისტური წინადადებანი. ჩვენი ქვეყნების ინიციატივები სხვა სახელმწიფოთა სულ უფრო ფართო მხარდაჭერას პოულობს. ეს მთელი დამაჯერებლობით დაადასტურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ბოლო სესიამაც.

იმპერიალისტი პოლიტიკოსები ყოველნაირად ცდილობენ [illegible] სოციალიზმის ქვეყნების საერთაშორისო [illegible], [illegible] შეასუსტონ მათი შეკავშირება. შეარყიონ სოციალისტური [illegible] საფუძვლები იქ, სად[illegible] [illegible] წარმატების მიღწევა. ასეთ პირობებში განსაკუთრებით საჭიროა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მოძმე სოციალისტური ქვეყნების სოლიდარობა. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა ამის რწმენა კიდევ ერთხელ ერთსულოვნად გამოხატეს მოსკოვში ამასწინანდელი შეხვედრის დროს.

ამერიკის შეერთებული შტატები ეკონომიკურ ბლოკადას უწყობს და ომით ემუქრება სოციალისტურ კუბას. მაგრამ სულ ტყუილად აქვთ იმის იმედი, რომ მას დააშინებენ, გადაახვევინებენ არჩეული გზიდან. ამის საწინდარია თავისი კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმული გმირი კუბელი ხალხის ურყევი ნება. ამის საწინდარია თავისუფლების კუნძულთან ლათინური ამერიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების, მიუმხრობლობის მოძრაობის მრავალრიცხოვანი მონაწილეების სოლიდარობა. კუბელი ხალხი მტკიცედ უჭერს მხარს მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებს. რაც შეეხება სსრ კავშირს, იგი იყო, არის და იქნება კუბასთან ერთად ჭირშიც და ლხინშიც. (მქუხარე ტაში).

საერთაშორისო ცხოვრებაში სოციალიზმის როლის გაზრდას, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის მოწესრიგება. ჩვენ ამ მოწესრიგების თანამიმდევრული მომხრენი ვართ. მაგრამ პოლიტიკური კონსულტაციები ცხადყოფს, რომ კვლავ გვაქვს უთანხმოება მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში. კერძოდ, ჩვენ ვერ დავთანხმდებით რაიმე მორიგებას მესამე ქვეყნების საზიანოდ. მაგრამ აზრთა გაზიარება გრძელდება და იგი სასარგებლოდ მიგვაჩნია. საბჭოთა კავშირი მომხრეა კონტაქტების დონე ამაღლდეს იმდენად, რამდენადაც ეს მისაღები იქნება ორივე მხარისათვის.

სასარგებლოა ისიც, რომ თანდათან ხდება ორმხრივ ხელსაყრელი ურთიერთობის აღორძინება ეკონომიკაში, კულტურაში, მეცნიერებასა და სხვა სფეროებში. ეს არ ეპიტნავებათ იმათ, ვისაც სურს სარგებელი ნახოს სსრ კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობების გამწვავებით. სამაგიეროდ ეს ხელსაყრელია ორივე ჩვენი ქვეყნისათვისაც, მსოფლიოში საერთო ვითარების გაჯანსაღების საქმისათვისაც.

დაძაბულობის განუწყვეტელი გამწვავების იმპერიალისტური პოლიტიკის საფრთხე აშკარა გახდა. რაც უფრო დიდ საშიშროებას უქმნის იგი საკაცობრიო ცივილიზაციას, მით უფრო აქტიურდებიან კაცობრიობის თავდაცვის ძალები. დასავლეთ ევროპაში იზრდება აღშფოთება იმათი მოქმედების გამო, ვინც მის უშიშროებას მსხვერპლად სწირავს ვაშინგტონის იმპერიულ ამბიციებს. რაკეტსაწინააღმდეგო მოძრაობის მილიონობით მონაწილე ამის შესახებ გასაგები ენით ლაპარაკობს. (ტაში).

დასავლეთის ქვეყნების ყველა ხელმძღვანელი მოღვაწე, ყველა გავლენიანი პოლიტიკური პარტია როდი იწონებს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ავანტიურიზმს. იგი აწუხებს თვით ამერიკის საზოგადოებრიობის მნიშვნელოვან ნაწილსაც. იქ სულ უფრო ცხადად ესმით, რომ მილიტარიზაციის დაჩქარებასა და საერთაშორისო ვითარების გამწვავებას არ მოუტანია და ვერც მოუტანს ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხედრო უპირატესობასა და პოლიტიკურ წარმატებებს. ისინი მხოლოდ იმას იწვევენ, რომ მსოფლიოში ყველგან ძლიერდება ვაშინგტონის აგრესიული კურსის კრიტიკა. ადამიანებს სურთ მშვიდობა და სიმშვიდე, და არა ომის ისტერია.

შემიძლია ვთქვა, რომ ეს საკმაოდ დამაჯერებლად დაადასტურა ჩვენმა საუბრებმა საზღვარგარეთის მრავალი დელეგაციის ხელმძღვანელებთან, რომლებიც იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის დაკრძალვაზე ჩამობრძანდნენ.

ყოველივე ეს გვაძლევს იმედს, რომ ბოლოს და ბოლოს კვლავ მშვიდობისაკენ, გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისაკენ შემობრუნდება მოვლენათა განვითარება.

დაძაბულობის შენელებას ღრმად აქვს გადგმული ფესვი. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ევროპაში ნდობისა და განიარაღების ღონისძიებათა შესახებ სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევა.

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რა თქმა უნდა, გამალებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვას. ამ საკითხში სსრ კავშირის პოზიცია ნათელია. ჩვენ ბირთვული არსენალების გადიდებაში მეტოქეობის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ ვემხრობოდით და კვლავ ვემხრობით ყველა ამ სახეობის იარაღის აკრძალვასა და მოსპობას. ამის შესახებ წინადადებანი კარგა ხანია წამოვაყენეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც, განიარაღების საკითხთა ჟენევის კომიტეტშიც, მაგრამ მათ განხილვას აბრკოლებენ შეერთებული შტატები და მისი მოკავშირენი.

რაც შეეხება ევროპას, ჩვენ კვლავინდებურად იმის მომხრენი ვართ, რომ იგი თავისუფალი იყოს ბირთვული იარაღისაგან — როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკური ბირთვული იარაღისაგან. ჩვენ მომხრენი ვართ იმისა, რომ ორივე მხარემ დაუყოვნებლივ გადადგას პირველი დიდი ნაბიჯი ამ მიმართულებით. ამასთან საბჭოთა კავშირი არ აპირებს განამტკიცოს თავისი უშიშროება სხვების ხარჯზე, მას ყველასთვის თანაბარი უშიშროება სწადია.

სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ თემაზე მოლაპარაკებაში თავისი მონაწილეობა პროპაგანდის ინსტრუმენტად გაიხადა, რათა შეინიღბოს გამალებული შეიარაღება და „ცივი ომის" პოლიტიკა. ასეთ თამაშში ჩვენ არ მიგვიღია და არც მივიღებთ მონაწილეობას. (ტაში).

(დასასრული მე-3 გვ.).

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

(დასასრული)

ევროპაში რაკეტების განლაგებით ამერიკელებმა დაბრკოლებები შეუქმნეს მოლაპარაკებას არა მარტო „საევროპო", არამედ სტრატეგიული ბირთვული იარაღის შესახებაც. ამ დაბრკოლებათა დაძლევის გზაა (რაც აღკვეთდა ჩვენი საპასუხო ღონისძიებების აუცილებლობასაც) ორმხრივ მისაღები მორიგების შემუშავება.

ბოლო ხანს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ მოუხშირა ვითომდა მშვიდობისმყოფლური განცხადებებით გამოსვლას და „დიალოგისათვის" მოგვიწოდებს.

მთელ მსოფლიოში მიაპყრეს ყურადღება იმას, თუ რა მკვეთრად ეწინააღმდეგება ეს განცხადებები ყოველივეს, რასაც ამბობდა და, რაც მთავარია, რასაც აკეთებდა და კვლავ აკეთებს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაცია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში. მის მტკიცებებს, რომ კეთილი განზრახვები აქვს, სერიოზულად მივიღებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ განამტკიცებენ რეალური მოქმედებით. (ტაში). საბჭოთა კავშირი კი მუდამ მომხრე იყო ორივე ქვეყნის სასარგებლოდ, მშვიდობის სასარგებლოდ კონკრეტულ საკითხთა ურთიერთმისაღები პრაქტიკული გადაწყვეტების ძიებისა. ასეთი საკითხები ცოტა როდია. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დიდი შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ საქმით დაამტკიცოს თავისი მშვიდობისმოყვარეობა.

მაგალითად, რატომ არ ამტკიცებს ამერიკის შეერთებული შტატები სსრ კავშირთან თითქმის ათი წლის წინათ დადებულ ხელშეკრულებებს ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდის შეზღუდვისა და მშვიდობიანი მიზნით ბირთვული აფეთქებების შესახებ და ბოლომდე არ მიჰყავს ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ შეთანხმების შემუშავება? შეგახსენებთ, რომ ამის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკება შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტა. ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია აგრეთვე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მშვიდობის განმტკიცებაში, თუ მოისურვებს შეთანხმების მიღწევას კოსმოსის მილიტარიზაციაზე უარის თქმის შესახებ. სსრ კავშირი, როგორც ცნობილია, კარგა ხანია სთავაზობს ამას.

გაცილებით მეტ ნდობას გამოიწვევდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მშვიდობისმოყვარული განცხადებები, თუ დათანხმდება წინადადებას ამერიკული და საბჭოთა ბირთვული შეიარაღების ორმხრივი გაყინვის თაობაზე. უკვე იმდენი იარაღი დაგროვდა, რომ ეს ნაბიჯი იოტისოდენა საფრთხესაც არ შეუქმნიდა არც ერთი და არც მეორე მხარის უშიშროებას, სამაგიეროდ მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა საერთო პოლიტიკურ ატმოსფეროს და, უნდა ვივარაუდოთ, გააადვილებდა მორიგებას ბირთვული არსენალების შემცირების შესახებ.

ძალზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ვიხსნათ კაცობრიობა ქიმიური იარაღის გამოყენების შესაძლებლობისაგან. ამის თაობაზე მოლაპარაკება კარგა ხანია წარმოებს, და ახლა თითქოს ისახება საკითხის გადაწყვეტის წანამძღვრები. საქმე ეხება ქიმიური იარაღის გამოყენების, მისი შექმნისა და წარმოების სრულ და საყოველთაო აკრძალვას, მთელი მისი მარაგის მოსპობას. ჩვენ მომხრენი ვართ, რომ ასეთი შეთანხმების შესრულებას ეფექტიანი კონტროლი დაუწესდეს, რომ კონტროლმა მოიცვას ქიმიური იარაღის მოსპობის მთელი პროცესი — თავიდან ბოლომდე.

გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნულ საკითხებზე მორიგებათა მიღწევა დასაბამს მისცემდა ნამდვილ გარდატეხას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში და მთელ საერთაშორისო ვითარებაშიც. ჩვენ გვინდა ასეთი გარდატეხა. ჯერი ვაშინგტონზეა. (ტაში).

ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოთა პოლიტიკას დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მთელი კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესები, ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე სახელმწიფო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მოითხოვს, რომ ამ სახელმწიფოთა ურთიერთობა გარკვეულ ნორმებს ექვემდებარებოდეს. ჩვენი წარმოდგენით ეს ნორმები დაახლოებით ასეთია:

— მივიჩნიოთ ბირთვული ომის თავიდან აცილება ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად. არ დავუშვათ სიტუაციები, რომლებსაც შეიძლება ბირთვული კონფლიქტი მოჰყვეს. ასეთი საფრთხის შექმნის შემთხვევაში მოვაწყოთ სასწრაფო კონსულტაციები, რათა თავიდან ავიცილოთ ბირთვული ხანძარი.

— უარი ვთქვათ ნებისმიერი ვარიანტის — გლობალური თუ შეზღუდული ბირთვული ომის პროპაგანდაზე.

— ვიკისროთ ვალდებულება პირველებმა არ ვიხმაროთ ბირთვული იარაღი.

— არავითარ ვითარებაში არ გამოვიყენოთ ბირთვული იარაღი არაბირთვული ქვეყნების წინააღმდეგ, რომელთა ტერიტორიაზეც არ არის ასეთი იარაღი. პატივი ვცეთ მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში უკვე შექმნილი უბირთვო ზონების სტატუსს და ხელი შევუწყოთ ახლების შექმნას.

— არ დავუშვათ რაიმე ფორმის ბირთვული იარაღის გავრცელება: არავის გადავცეთ ეს იარაღი ან მისდამი კონტროლი; არ განვალაგოთ იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, სადაც იგი არ არის; არ გავავრცელოთ გამალებული ბირთვული შეიარაღება ახალ სფეროებში, კერძოდ, კოსმოსში.

— თანდათან, თანაბარი უშიშროების პრინციპის საფუძველზე ვილვაწოთ ბირთვული შეიარაღების შემცირებისათვის ყველა მისი ნაირსახეობის სრულ ლიკვიდაციამდე. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა კავშირმა ეს პრინციპები საფუძვლად დაუდო თავის პოლიტიკას. მზად ვართ ნებისმიერ დროს მოველაპარაკოთ სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს ასეთი სახის ნორმების ერთობლივი აღიარებისა და მათთვის სავალდებულო ხასიათის მინიჭების შესახებ. ვფიქრობ, ეს შეესაბამება არა მარტო მონაწილე ქვეყნების, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხების ძირეულ ინტერესებს. (ტაში).

ამხანაგებო! ყოველივეს, რაც გვაქვს, ყოველივეს, რისაც ვაღწევთ, — [illegible] და ძლიერ სახელმწიფოს, საერთაშორისო ასპარეზზე მის მაღალ ავტორიტეტს, ხალხის მჩქეფარე მშვიდობიან ცხოვრებას, — ყოველივე ამას ვუმადლით საბჭოთა ადამიანების დაძაბულ შემოქმედებით შრომას. (ტაში). ეს შრომაა მერმისისადმი ჩვენი რწმენის უშრეტი წყარო.

მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერები და ინჟინრები, ექიმები და კულტურის მოღვაწენი, პედაგოგები და მეომრები უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ახალი შრომითი წარმატებებით ეგებებიან. კვლავაც იმრავლოს ამ წარმატებებმა! და მაშინ კიდევ უფრო ძლიერი იქნება ჩვენი სახელმწიფო — მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ბურჯი. მაშინ კიდევ უფრო უკეთესად იცხოვრებს ყოველი საბჭოთა ოჯახი. მაშინ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო წარმატებით დაწინაურდება კომუნისტური მშენებლობის გზაზე! (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში გაისმის შეძახილები სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, აღმშენებელი და მშვიდობისათვის მებრძოლი საბჭოთა ხალხის სადიდებლად. კრების მონაწილენი ერთხმად გაიძახიან: „პარტიას — დიდება!", „ვაშა!"**).

ხალხი და პარტია ერთიანია

(დასასრული)

[illegible]

საბჭოთა ადამიანთა კეთილდღეობისათვის

[illegible]

სურათებზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლას ქ. მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრისას ტელევიზორებთან უსმენენ პარტიის ვეტერანები ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში (ზემოთ) და პარტიის მცხეთის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტში შეკრებილი პროპაგანდისტები, აგიტატორები და პოლიტინფორმატორები (ქვემოთ).

გ. კიკვაძის, ი. დავითაშვილის და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მაღალი ორგანიზებულობა

ამ დღეს ჩვეულებრივზე ადრე დაამთავრა მუშაობა მახარაძის რაიონის სოფელ კონჭკათის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციაში ა. ჩანჩიბაძის ბრიგადამ. სრული შემადგენლობით მოვიდა იგი კოლმეურნეობის კლუბში, რათა ენახა ტელეგადაცემა ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოსთან ქალაქ მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრის შესახებ.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვები ემთხვევა ჩვენს აზრებსა [illegible]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველო საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოდ.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს უფროსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს სსრ მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე შედის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

3. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ" საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის პირველი ნაწილი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., №12, მუხ. 253, 1981 წ., №13, მუხ. 302) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებოა საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო, საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველო, რომელთა ხელმძღვანელები დადგენილი წესით შედიან საქართველოს სსრ მთავრობის შემადგენლობაში".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 17 თებერვალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ლ. ნ. მატარაძის საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: დაინიშნოს ამხ. ლევან ნიკოლოზის ძე მატარაძე საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 17 თებერვალი.

სამუშაო დღეები ორბიტაზე

ფრენის მართვის ცენტრი, 2 მარტი. (საქდესი). 23-ე დღეა განაგრძობენ ორბიტულ ფრენას ლეონიდ კიზიმი, ვლადიმერ სოლოვიოვი და ოლეგ ატკოვი.

დღეს ეკიპაჟი განაგრძობდა 27 თებერვალს დაწყებულ გეოფიზიკური კვლევის მორიგ ციკლს, რომელიც მოიცავს დედამიწის ზედაპირის ვიზუალურ დაკვირვებას, ფოტოგადაღებას და სპექტრომეტრირებას. კერძოდ, იკვლევენ ოკეანის დინებებსა და ატმოსფეროსთან ოკეანის ურთიერთმოქმედებას.

მეცნიერული კვლევის პარალელურად კოსმონავტები ეწევიან „პროგრეს-19" ხომალდის გადმოტვირთვას, სამტატო ადგილებზე აყენებენ მიღებულ მოწყობილობას და აპარატურას.

დღის განრიგით გათვალისწინებულია აგრეთვე სადგურში რეგლამენტირებულ პროფილაქტიკურ სამუშაოთა მოწყობა, ცალკეული საბორტო სისტემების შემოწმება, ფიზიკური ვარჯიში.

კოსმონავტების ჯანმრთელობის მდგომარეობის ობიექტური შეფასების მიზნით განვლილ დღეებში ექიმმა ო. ატკოვმა მოაწყო ეკიპაჟის სამედიცინო გასინჯვა, ულტრაბგერითი აპარატების მეშვეობით განისაზღვრა გულ-სისხლძარღვთა სისტემების მოქმედების დამახასიათებელი მაჩვენებლები, გაიზომა მაჯისცემა, არტერიული წნევა.

გამოკვლევის შედეგების თანახმად, ამხანაგი კიზიმი, სოლოვიოვი და ატკოვი თავს ჯანმრთელად და კარგად გრძნობენ.

„სალუტ-7"-„სოიუზ ტ-10"-„პროგრეს-19" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

არჩევნებისათვის მზად არიან

2 მარტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა

4 მარტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა. იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა მზადება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისათვის, რა გაკეთდა, რომ იგი რესპუბლიკაში ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებულიყო, გვესაუბრებიან:

ნ. ბურგენიძე,

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი:

— საქართველოს დედაქალაქი მზად არის არჩევნებისათვის. ქალაქში შექმნილია 9 საოლქო და 438 საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არიან შრომითი კოლექტივების, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველაზე ავტორიტეტიანი წარმომადგენლები, რომლებსაც ამომრჩეველთა ნდობა აქვთ მოპოვებული. ჩვენ ვიზრუნეთ იმისათვის, რომ ახალბედებთან ერთად ყოფილიყვნენ ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ წინა საარჩევნო კამპანიებში, აქვთ გარკვეული გამოცდილება, კარგად გამოიჩინეს თავი მუშაობაში.

არჩევნებისათვის მზადებით გამოწვეული თბილისელთა საყოველთაო შრომითი აღმავლობა გამოიხატა იმით, რომ შრომითმა კოლექტივებმა წარმატე...

მათ კოლექტივებსა და საცხოვრებელ ადგილებში. ქალაქში გახსნილია 438 აგიტპუნქტი და ამომრჩეველთა კლუბი, მოქმედებს 507 აგიტკოლექტივი, რომლებიც თითქმის 14.000 აგიტატორს აერთიანებენ. ქალაქის 150-ზე მეტ შრომით კოლექტივში ქალაქის ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა წლის დამდეგიდან წაიკითხეს პოლიტიკური მოხსენებები თემაზე „მშვიდობისა და ელმშენებლობის გზით" — სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრისა და 1984 წლის რიგგარეშე თებერვლის პლენუმების მასალების, სსრ კავშირის ყველა ამომრჩეველისადმი, მოქალაქისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის შესაბამისად. ქალაქის მშრომელებისა და მოსახლეობისათვის პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების, საზოგადოება „ცოდნის" საქალაქო განყოფილების ლექტორთა ჯგუფების ძალებით წაკითხულია 400-ზე მეტი ლექცია.

რაიონული საბჭოების, საქალაქო მეურნეობის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელი მუშაკები ხვდებოდნენ მოსახლეობას, უშუალოდ ადგილებზე ოპერატიულად წყვეტდნენ ბევრ ამოცანას.

რ. ბუტბა.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი:

— დადგმითად შეიძლება რა ავტონომიურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ამის თაობაზე, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს ამომრჩევლებს შორის საგიტაციო-მასობრივი მუშაობა საცხოვრებელ ადგილებში. ამ მიზნით პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ სრულად გამოიყენონ კულტურის სახლები, კლუბები...

ამომრჩევლებს, კომუნისტებს შორის. მათი ინიციატივით საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეწყობა თემატიკური საღამოები: „აფხაზეთი, მეთერთმეტე ხუთწლედში". ბევრი რამ აქვთ საამბობი აგიტატორებს, პოლიტინფორმატორებსა და პროპაგანდისტებს ამომრჩევლებთან თავიანთი საუბრების დროს. წლითიწლობით გადაჭარბებით სრულდება სამრეწველო პროდუქციის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმები. ხამ წელიწადში ავტონომიურ რესპუბლიკაში დამზადებულია რეკორდული რაოდენობის ჩაი, ციტრუსები, ყურძენი, ხილი, ხორცი და რძე. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა დიდი სამრეწველო საწარმოები, ახალი სკოლები, სკოლამდელთა დაწესებულებები, საცხოვრებელი სახლები. გაუმჯობესდა კურორტების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა ქსელი.

პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, რომლებმაც თავიანთი საქმიანობის საფუძვლად დაუდეს სსრ კავშირის ყველა ამომრჩეველისადმი, მოქალაქისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, აგრეთვე „სსრ კავშირის მეთერთმეტე, მოწვევის უმაღლ...

ი. ტუხუგა,

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი:

...სამხრეთ ოსეთის ისტორიაში განსაკუთრებული იყო.

სტაბილურად, დინამიკურად ვითარდება სამხრეთ ოსეთის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი...

...ებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ საგარეო და საშინაო პოლიტიკას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

(საქინფორმი).

ნ. გუგუნავა.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი:

— ხულოს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის ამომრჩეველთა კლუბი გაცოცხლებულია. ამ დღეებში აქ განსაკუთრებით...

მეგობრების საჩუქარი

მოსკოვის ძველი ქუჩები და ხმაურიანი პროსპექტები, ინდუსტრიული პეიზაჟები და ჩრდილოვანი პარკები, ადამიანები, რომელთა მუყაითმა შრომამაც სახელი გაუთქვა გმირ ქალაქს, ... საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დარბაზებში გამოფენილი 155 ნამუშევარი რუსეთის ფედერაციის მხატვართა კავშირის დედაქალაქის ორგანიზაციის საჩუქარია საქართველოს მშრომელებისადმი. ეს ფერწერული ტილოები, გრაფიკული ფურცლები და ქანდაკებები შეემატა მუზეუმთან ხუთი წლის წინათ შექმნილ საბჭოთა რესპუბლიკების ხელოვნების განყოფილებას.

ექსპოზიცია საინტერესოა იმით, რომ აქ წარმოდგენილია ყველა თაობის მხატვრის — პ. ნიკონოვის, დ. ბისტის, მ. ივანოვის, ნ. ეგოშინას, გ. ზახაროვის, ი. გოლიცინის, დ. გორლოვისა და სხვათა ნამუშევრები.

მუზეუმის ფონდების შევსება რუსი მხატვრების ნამუშევრებით შესაძლებლობას მისცემს მუზეუმის მუშაკებს უფრო ფართოდ გააცნონ საზოგადოებრიობას მრავალეროვნული საბჭოთა სახვითი ხელოვნების მიღწევები.

გამოფენის გახსნის დღეს შთაბეჭდილებათა წიგნში პირველი ჩანაწერები მოწმობს, რომ თბილისის საზოგადოებრიობა და მისი სტუმრები დიდ ინტერესს იჩენენ მოსკოველი მხატვრების ნამუშევრებისადმი.

ექსპოზიცია მარტის დამლევამდე გასტანს. (საქინფორმი).

ყაბახი

სმისლოვი უპასუხებს გულშემატკივრებს

ამ დღეებში მოსკოვში მსოფლიოს ექსჩემპიონი ვასილ სმისლოვი შეხვდა ჭადრაკის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს, გააცნო მათ ზოლტან რიბლისთან თავისი საუკეთესო პარტიები...

— რა აზრისა ხართ იმის შესახებ, რომ მსოფლიო პირველობის გათამაშების ციკლი შეიცვალოს და იგი ორწლიანი გახდეს?

— რა თქმა უნდა, მომავალი გვიჩვენებს ამ ახალი სისტემის ნამდვილ ღირსება-ნაკლოვანებებს, მაგრამ მე მას მაინც სკეპტიკურად ვუყურებ. ვფიქრობ, ამჟამად მოქმედ სისტემას მეტი ღირსება აქვს.

— როგორ უყურებთ ახალგაზრდა და ნიჭიერ კასპაროვს?

— სწორედ ისე ვუყურებ — როგორც ახალგაზრდას და როგორც ნიჭიერს (მსმენელების ტაში).

— თავის დროზე ბოტვინიკმა განაცხადა, ჯობუკი ფიშერი ახალგაზრდა სმისლოვის მსგავსად თამაშობსო. ვის მსგავსად თამაშობს ახალგაზრდა კასპაროვი?

— ჩემი აზრით, ახალგაზრდა ტალის მსგავსად. მას იგივე ენერგია და ირაციონალურ პოზიციებში ჩინებულად გარკვევის უნარი აქვს.

— კასპაროვთან მატჩის შემდეგ რომელ შეჯიბრებაში მიიღებთ მონაწილეობას?

— ძნელი სათქმელია. მე ვითვალისწინებ ჩემს ასაკს და ამიერიდან ვითამაშებ მხოლოდ მნიშვნელოვან შეჯიბრებებში, რათა სხვადასხვა ტურნირში მონაწილეობით არ გადავიღალო.

სატურნიროო ორბიტა

თავისუფალი ჭიდაობა. ტალინში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი 18-19 წლის იუნიორთა შორის. აქ საქართველოს სპორტსმენთაგან მეორე საპრიზო ადგილები მოიპოვეს თბილისელმა გ. გაბოძემ (68 კგ), სოხუმელმა მ. თოლორდავამ (74 კგ), თბილისელმა გ. სულთანიშვილმა (90 კგ) და გორელმა ი. მეზამშვილმა (უმძიმესი წონა). თბილისელმა ზ. ტყემელაშვილმა (100 კგ) მესამე ადგილი დაიკავა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა, რომელმაც წინ გაუსწრო საქართველოსა და ბელორუსიის ნაკრებ კოლექტივებს.

ჩოგბურთი. დევისის თასის გათამაშებაში ჩაება მსოფლიოს 16 უძლიერესი ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები (პირველი ლიგა). გათავაზობთ I წრის (მერვედფინალი) შედეგებს: ავსტრალია-იუგოსლავია — 5:0, ინგლისი-იტალია — 2:3, აშშ-არგენტინა — 1:4, რუმინეთი-აშშ — 0:5, ჩეხოსლოვაკია-...

...არაშენებლობისა და კაუნასის „ჟალგირის" შორის. გამარჯვებულები — 78:73.

ჩემპიონის ვინაობის გასარკვევად დღეს მოსკოვშივე გაიმართება ამ გუნდების მესამე ფინალური შეხვედრა.

უცხოეთი

2 მარტი

ფაქტები, მოვლენები, საქმისი იუმბება

● ირან-ერაყი

ბრძოლები გრძელდება

ბაღდადი. ირან-ერაყის ფრონტზე გაფართოებული ბრძოლები გრძელდება. ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის უკანასკნელ ცნობაში ნათქვამია, რომ 29 თებერვალს ირანის ჯარებმა კვლავ შეუტიეს მესამე კორპუსის უბანს ბასრის ჩრდილოეთით. როგორც სამხედრო წარმომადგენლებმა განაცხადა, წინა ღამით ერაყის ნაწილებმა მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მიაყენეს. კერძოდ, ამტკიცებენ, რომ დახოცეს 5462 ირანელი ჯარისკაცი, გაანადგურეს ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, სხვა საბრძოლო ტექნიკა და შეიარაღება.

ფრონტის სამხრეთის ფლანგიდან გადმოცემულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა რაკეტები და ბომბები დაუშინეს მოწინააღმდეგის პოზიციებს, აგრეთვე შეუტიეს თავდაცვის სამხედრო ობიექტებს.

ირანის არტილერიამ კვლავ ცეცხლი დაუშინა ქალაქებს ბასრა, ...

● აშშ-ჰოლანდია

თავს ახვევენ რაკეტებს

ვაშინგტონი. პრეზიდენტ რეიგანს თეთრ სახლში მოლაპარაკება ჰქონდა ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჰ. ვან დენ ბრუკთან.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი. მოლაპარაკების შედეგების შესახებ არავითარი ოფიციალური ცნობა არ გამოქვეყნებულა. მაგრამ, როგორც ინფორმირებულ მიმომხილველებს მიაჩნიათ, საქმე ეხებოდა, უწინარეს ყოვლისა, დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების ნატოსეული გეგმების რეალიზაციას.

ნატო ისწრაფვის ჰოლანდიის თავს მოახვიოს 48 ამერიკული ფრთოსანი რაკეტა. მაგრამ, როგორც ჰოლანდიის სტატისტიკის საზოგადოების მიერ ახლახან მთავრობისათვის მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, ამის წინააღმდეგ გადაჭრით ილაშქრებს ქვეყნის მოსახლეობის 63 პროცენტი. წააწყდა რა ფართო საზოგადოებრიობის წინააღმდეგობას, ჰოლანდიის მთავრობას ჯერ ოფიციალური თანხმობა არ მიუცია თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების შესახებ.

ახლა, როცა ნიდერლანდის მთავრობამ და პარლამენტმა საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ამ საკითხზე, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მიაღწიოს თანხმობას რაკეტების განლაგებისათვის, როგორც ცნობილი გახდა, ამ მიზნით ვაშინგტონში ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრზე ძლიერი ზემოქმედება მოახდინეს. იანვარში, შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტის დროს, ამგვარი „დამუშავება" განიცადა ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრმა რ. ლუბერსმა.

● აშშ

შეგნებული ტყუილი

ვაშინგტონი. გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ქიმიური შეიარაღების პროგრამის ყოფილი დირექტორის ს. ხორმეტსის სტატია. ავტორი მკაცრად აკრიტიკებს რეიგანის ადმინისტრაციას, რომელმაც კვლავ წამოიწყო პროვოკაციული ბრალდებები, კერძოდ, საბჭოთა კავშირის დასწამა ქიმიური იარაღის „გამოყენება" სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ხორმეტსს გამოაქვს დასკვნა, რომ თეთრი სახლი შეგნებულად ატყუებს კონგრესს და ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს, რათა კიდევ უფრო გააძლიეროს ანტისაბჭოური ისტერია და კონგრესს გამოაყოფინოს დამატებითი სახსრები 1985 საფინანსო წელს ქიმიური იარაღის წარმოებისათვის.

სტატიაში მოყვანილია მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აყალბებენ მონაცემებს, რაშიც ავტორი თვალნათლივ დარწმუნდა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შექმნის დარგში მუშაობის 37 წლის მანძილზე.

● ჩადი

ეროვნული დაზავებისათვის

პარიზი. ჩადის ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობა მზად არის მოლაპარაკება გამართოს ქვეყანაში ეროვნული დაზავების შესახებ მხოლოდ აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ეგიდით, განაცხადა აქ მისმა წარმომადგენელმა საფრანგეთში აბდერამან მუსამ.

ჰისენ ჰაბრეს რეჟიმმა, თქვა მან ფრანს პრესის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში, დიპლომატიური შეტევა წამოიწყო იმ მიზნით, რომ აფრიკის ერთობის ორგანიზაცია ჩადის პრობლემის გადაჭრას ჩამოაშოროს; გარდამავალი მთავრობა უარს ამბობს რაიმე კონტაქტებზე ნჯამენასთან სრულიად აფრიკის ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ. გარდამავალ მთავრობას, აღნიშნა ა. მუსამ, ჩრდილოეთის შეიარაღებული ძალები ჰაბრეს მეთაურობით მხოლოდ ჩადის შიდაპოლიტიკურ ერთ-ერთ დაჯგუფებად მიაჩნია. 1979 წელს ლაგოსში ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობა, მაგრამ შემდეგ ჰაბრემ მის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო. ყველამ იცის, თუ რა გზით მოხვდა ეს მოღვაწე ნჯამენის ხელისუფლების სათავეში. როგორც ცნობილია, მისი რეჟიმი დამყარდა ამერიკის სამხედრო მატერიალური და ფინანსური დახმარების შედეგად.

● კანადა

პრემიერის განცხადება

ოტავა. კანადის პრემიერ-მინისტრმა პიერ ტრიუდომ გამოაცხადა, რომ იგი აპირებს დატოვოს მმართველი ლიბერალური პარტიის ლიდერის პოსტი და ითხოვოს გადადგომა როგორც მთავრობის მეთაურმა. ლიბერალური პარტიის თავმჯდომარისადმი ი. კამპანოლოსადმი წერილში, რომელიც აქ გამოქვეყნდა, ტრიუდო აღნიშნავს, რომ იგი პარტიული ლიდერისა და პრემიერ-მინისტრის მოვალეობას შეასრულებს, სანამ ლიბერალური პარტიის ყრილობა მის მემკვიდრეს არ აირჩევს.

სტატისტიკა

უმუშევრობა ინგლისში

ლონდონი. დიდ ბრიტანეთში უმუშევრობის კვლავ მაღალი დონეა. აქ გამოქვეყნებული მთავრობის მონაცემებით, ამა წლის თებერვალში ქვეყანაში სამუშაო არ ჰქონდა 3,19 მილიონ კაცს, ანუ დაქირავებული მუშაკების 13,4 პროცენტს.

თუმცა ოფიციალური სტატისტიკა არ ასახავს ინგლისის შრომის ბირჟაზე არსებული ვითარების რეალურ მასშტაბს. ბი-ბი-სი ტელეკომპანიის აზრით, „უმუშევართა არმიას" უნდა მივაკუთვნოთ 600 ათასამდე ახალგაზრდა ბრიტანელი, რომლებიც სწავლებას ფაბრიკა-ქარხნებში გადიან და მუდმივი სამუშაოს შოვნის არავითარი შანსი არა აქვთ.

კარიკატურისტის თვალით

ამერიკელი ტურისტი: ეს რა „მექს" რაკეტის ვარიანტია?
— არა, ჩემო ბატონო, „მექს" — ქვევრი გახლავთ.
ა. პეტროვის ნახატი.

თბილისური პრემიერები

ამ დღეებში მაყურებელს ახალი სპექტაკლი უჩვენა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა. მან წარმოადგინა სპექტაკლი ა. გალინის პიესის „აღმოსავლეთის ტრიბუნის" მიხედვით. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ლ. ჭაშმა, სცენოგრაფია ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ე. დონცოვას, მუსიკალური გაფორმება — რ. გვეენიას. სპექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ი. კვიცინაძე, ზ. გრიგორიანი, ტ. ხოლოდოვა, მსახიობები ა. ვოლოპიანოვი, ე. აბზიანიძე და სხვები.

ახალი სპექტაკლი დაიდგა ამ დღეებში აგრეთვე სომხური დრამის თეატრის სცენაზე. ეს არის პ. ზეითუნციანის ტრაგედია „არშაკ II". დადგა რეჟისორმა მიხეილ გრიგორიანმა, მხატვრულად გააფორმა რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ე. დონცოვამ. პიესა სომხეთის ისტორიას ეხება.

სურათზე: სპექტაკლ „აღმოსავლეთის ტრიბუნის" სცენა: კონიაევი — მსახიობი ა. ვოლოპიანოვი, კლეიმიშევა — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. კვიცინაძე.

ვ. პეტროსიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საიუბილეო სესია ტყიბულში

ტყიბული. (საკ. კორ.). საქართველოს ისტორიაში ცნობილი სოფელ ხრესილის ველზე მომხდარი ბრძოლის 225 წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო სესია, რომე...

...ვერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნ. შენგელიამ, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის განყოფილების გამგემ, დოცენტ...

ვ. ცირეკიძე.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

მოსკოვი

თბილისი

ჩვენი ტელევიზორი

რედაქტორის მოადგილე ლ. კიკნაძე.